საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №17

ქ.თბილისი **21.07.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი.
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ეკა ლეკაშვილი;
ნინო ჯოჯუა;
ნანი არაბული;
ნინო ჯაფიაშვილი;
მარიამ გერსამია;
გიორგი გვალია.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნუგზარ სხირტლაძე;
ნინო ჩუბინიძე;
გიორგი დათუკიშვილი;
ბორის ლეჟავა;
პაატა ბრეკაშვილი;
პავლე კაპანაძე;
მაია გონაშვილი;
ხატია დეკანოიძე;
ნინო ჟიჟილაშვილი;
მაია სიდამონიძე;
დათო ნატროშვილი;
სერგი კაპანაძე;
მარინა მიქელაძე;
ვატო სურგულაძე.

სხდომა დაიწყო 15:25 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საზუღალტრო აღრიცხვა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (სპეციალობები: ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში - აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში - აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
10. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
11. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
12. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
13. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
14. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ზაზა მარუაშვილმა განაცხადა თვითაცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი აგვიანებდა და ითხოვა საკითხის გადადებას რამდენიმე საკითხის განხილვის შემდეგ. დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (სპეციალობები: ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში - აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში - აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
10. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
11. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
12. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
13. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;
14. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0401
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა ნანი არაბულმა, რომელმაც გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კომპონენტებში „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ და „პროგრამირების საფუძვლები“, რომლების შესწავლაც ხდება სწავლების პირველ სემესტრში, ძირითად ლიტერატურაში მითითებული აქვს მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასურველია, რომ ყველა იმ სტუდენტისთვის, ვინც სრულყოფილად ვერ ფლობს ტექნიკურ ინგლისურს, ასარჩევად შეეთავაზოს ქართულენოვანი ლიტერატურაც.
- პროგრამაში შეიმჩნევა მათემატიკური საგნების სიმრავლე, მაგ.: კალკულუსი I, კალკულუსი II,წრფივი ალგებრა, დისკრეტული მათემატიკა (რომელიც ისწავლება კალკულუს II პარალელურად), რიცხვითი ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა. სასურველია თუ პროგრამა უფრო გაძლიერდება მაპროფილებელი საგნებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტის დროს გაწეული შრომისა და ღირებული რეკომენდაციებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს რეკომენდაციები და დაამატეს ქართულენოვანი ლიტერატურა. თუმცა, ამასთანავე განმარტა ქართულენოვანი ლიტერატურის არ მითითების მიზეზი, რომ წიგნი 2010 წლის გამოცემა იყო, თუმცა კომპენსირებას ინტერნეტში (youtube) მოძიებული ვიდეოებით ახდენდნენ.

მათემატიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ ზოგადად უნივერსიტეტს ჰქონდა მიდგომა, გაძლიერებულად ესწავლებინა მათემატიკა, რაც მნიშვნელოვანი იყო ინჟინერიის დარგში.

ნანა გაფრინდაშვილი დაინტერესდა ვიდეოგაკვეთილები რა ენაზე იყო, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაკვეთილები ქართულ ენაზე იყო.

დავით კახნიაშვილმა მიმართა ექსპერტს, რომ მათემატიკური საგნების სიჭარბეს ჯობდა პროგრამა მაპროფირებელი საგნებით ყოფილიყო დატვირთული. ასევე დაინტერესდა, ფაქტობრივი მდგომარეობით სწავლის შედეგის მიღწევა საეჭვო ხომ არ იყო.

ექსპერტმა განმარტა, რომ მათემატიკური საგნები საკმაოდ კარგად ისწავლებოდა და სწავლის შედეგების მიღწევა ეჭვს არ იწვევდა თუმცა, რეკომენდაცია, რომ მაპროფირებელ საგნებს მეტი დრო დათმობოდა რეკომენდაციის სახით შესთავაზეს. უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, სტუდენტების დიდ ნაწილს ჰქონდა სურვილი დროული დასაქმებისა. დასაქმებისათვის, საჭირო იყო მაპროფილებელი საგნების ცოდნა, ანუ თუ ფუნდამენტური ცოდნა არ ექნებოდათ მათემატიკაში, გაუჭირდებოდათ დასაქმება. კავკასიის უნივერსიტეტს კი სტუდენტების ისეთი კონტიგენტი ჰყავდა, რომ მათთვის სირთულეს არ წარმოადგენდა პროგრამით გათვალისწინებული მათემატიკური კურსები. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, დისკრეტული მათემატიკა ფუნდამენტი იყო პროგრამირებაში წარმატებისათვის. სტატისტიკა და ალბათობის თეორიაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან დამსაქმებელს აყავთ ისეთი კადრი ვისაც ჰქონდა ანალიტიკური აზროვნება.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა მობილობით გადასული სტუდენტების რიცხვით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი რაოდენობა დიდი არ იყო 14

ჩარიცხული სტუდენტიდან 9 სტუდენტმა დაამთავრა აღნიშნული პროგრამა. თუმცა მობილობით გადასვლის მიზეზი მათემატიკის სწავლა არ ყოფილა, ზოგიერთი სტუდენტი მიხვდა, რომ არ იყო მისი პროფილი, ზოგი დაბალი აკადემიური საწყისებით და ეგონათ სწავლა მარტივი იქნებოდა, რადგან ეს არ იყო ზედაპირული ცოდნა ვერ დაძლიეს რაც მობილობის მიზეზი გახდა.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა პროგრამის არსებობის 5 წლის განმავლობაში სილაბუსებში თუ განხორციელდა ცვლილებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსებში ცვლილებები ყოველსემესტრულად ხდებოდა. პროგრამების გადახალისება ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა, რისი მაგალითებიც გააჩნდათ. სტუდენტები თავადაც იყვნენ ინიციატორები ცვლილებებისა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სთავაზობდნენ ცვლილებების გატარებას, რასაც უნივერსიტეტი ყოველთვის ითვალისწინებდა.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა პროგრამაში ჩართული ლექტორების ასაკობრივი მაჩვენებლებით, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადად ახალგაზრდა კადრებით იყო დაკომპლექტებული პროგრამა, თუმცა ასევე ჰყავდათ 60 წელზე უფროსი პროფესორიც.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტება. მაია ჩიხლაძე დაინტერესდა თუ ხდებოდა ლექტორების გადამზადება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, ლექტორებს პარტნიორ უნივერსიტეტებში უშვებდნენ გადამზადებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ სხირტლაძემ ასევე გააკეთა განმარტება მათემატიკური საგნების სიჭარბესთან დაკავშირებით, რომ ალგორითმული აზროვნების უნარი აუცილებელი იყო და დაძლევადი.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ IT სპეციალისტები იყვნენ, მათემატიკა ხელს არცერთ მეცნიერებას არ უშლიდა, ფილოლოგსაც კი, უფრო მაღალი დონის პროფესიონალი იქნებოდა.

2.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	040101
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა ნანი არაბულმა და აღნიშნა ვიზიტის დროს განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რომ სილაბუსებში მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებული ხარვეზი საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი; მოხდა მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტება, რაც დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტამდე ჰქონდა შესწორებული. ასევე გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია არჩევით საგნებში დაემატოს ისეთ საგნები რომლებიც უფრო ღრმად მოიცავენ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელის თქმით, გაითვალისწინეს ექსპერტის რეკომენდაცია და პროგრამაში შეტანილ იქნა სასწავლო კურსები „ინფორმაციული უსაფრთხოება“ და „კიბერდანაშაული და მისი პრევენცია“, ყველა ცვლილება სათანადო წესით იქნა დამტკიცებული.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა თვითშეფასებაში არსებული ჩანაწერით რაც გულისხმობდა პრაქტიკის კომპონენტის სავალდებულო სწავლებას, დასაქმებული სტუდენტის შემთხვევაში რა ხდებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკა არჩევითი იყო და იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია ეკავა სტუდენტს, დამსაქმებელი მას კითხვარს საშუალებით აფასებდა, ამგვარად ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება სტუდენტს ეთვლებოდა თუ არა სამსახური პრაქტიკაში.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ჩათვლები შეფასების დროს აღარ გამოიყენებოდა და შეფასება უნდა მომხდარიყო ქულებით, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელიც დაეთანხმა.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რატომ იყო რეკომენდაცია ზოგადი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ გზით უნივერსიტეტს არჩევანის თავისუფლება დაუტოვა.

3.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (ფინანსებში, მარკეტინგში, მენეჯმენტში, საბუღალტრო აღრიცხვაში)
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ჯოჯუამ რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსები „ქართული წერისა და მეტყველების კულტურა“ და „ფილოსოფია“ მათი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე გადიოდეს ღირებულებების სწავლის შედეგზე.
- სასურველია გასწორდეს შეუსაბამობა სავალდებულო ლიტერატურის მითითებაში „ქართული წეისა და მეტყველების კულტურა“ და მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეორაფიის სასწავლო კურსების სილაბუსებში: სილაბუსების შინასში ზოგიერთი თემისთვის მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არ არის ასახული სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის გრაფაში.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა საბჭოს და დაინტერესებულ პირებს ერთად განეხილათ შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. საბჭოს წევრები და დაინტერესებული მხარე დაეთანხმა თავმჯდომარეს.

4.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ და აღნიშნა, რომ კარგი და განსხვავებული პროგრამა იყო, ასევე გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს თუ ინგლისური ენის ცოდნის რომელი დონე მოეთხოვება პროგრამაზე სწავლის მსურველს.
- სასურველია პროგრამის გაგრძელება პრაქტიკის თუნდაც არჩევით სასწავლო კურსად შეთავაზებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მხარე რეკომენდაციებს იზიარებდა და ერთად იმუშავებდნენ აღნიშნულ საკითხებზე სილაბუსის ავტორი და პროგრამაში ჩართული პირები.

ნანა გაფრინდაშვილმა მოიწონა პროგრამა და ურჩია პროგრამაში ჩართულ პირებს ქართული წერისა და მეტყველების კულტურის კურსი ჩაენაცვლებინათ აკადემიური წერის კურსით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური წერა ცალკე საგნად ისწავლებოდა თუმცა სტუდენტების აზრით ხდებოდა აკადემიური წერისა და ბიზნესკომუნიკაციის თემატიკის გადაფარვა, ამიტომ მოხდა თემების გადანაწილება ბიზნესკომუნიკაციისა და ქართული წერისა და მეტყველების კულტურის კურსებში.

დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, სილაბუსებსა და პროგრამაში არსებული ძირითადი ლიტერატურის სხვაობა სტუდენტებსაც შეუმჩნეველი რატომ დარჩათ. რაზეც დაწესებულების წარმნომადგენელმა, მაია გონაშვილმა განმარტა, რომ ლიტერატურა განსხვავებული კი არ იყო, არამედ თემატიკიდან გამომდინარე სილაბუსებში ძირითად ნაწილში დამატებული იყო გარკვეული ლიტერატურა რაც პროგრამაში არ იყო ასახული.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლით, როგორ ახერხებდნენ და თუ ხდებოდა პერიოდული გადამოწმება მონაცემებისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი და სტრუქტურა წარმატებული იყო, ყავდათ წარმატებული კურსდამთავრებულები, მათ საშუალება ეძლეოდათ პრაქტიკის გავლისა, თვითონ პროგრამაც ძლიერი იყო და სუდენტს აძლევდა საჭრო უნარებს. ყოველივე ეს განაპირობებდა სტუდენტების წარმატებით დასაქმებას. მონაცემების გადამოწმებას უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებდა. მაგისტრანტების დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 100% იყო რადგან მაგისტრატურაზე მიიღებოდა მხოლოდ დასაქმებული სტუდენტი. ბაკალავრიატზე 90%.

ზაზა რუხაძე დაინტერესდა არასამთავრო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები რამდენად გამოსადეგი იყო პროგრამისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნებისმიერი მემორანდუმი კავკასიის უნივერსიტეტის ეგიდით ფორმდებოდა. მათთან ურთიერთბა მნიშვნელოვანი და კომერციული ორგანიზაციებისაგან განსხვავებული იყო. აქცენტი კეთდებოდა არა მათ საქმიანობაზე, არამედ მათ მართვაზე.

ზაზა რუხაძემ განმარტა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, უბრალოდ აღნიშნა, რომ აკადემიურ სექტორს წაართვა კვლევები, რითაც უკან დახია აკადემიური სექტორი. მაგალითად მოიყვანა მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაციასთან რომელიც თავად ჰქონდა გაფორმებული, როგორც ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელს, აღნიშნული მემორანდუმი არაფრის მომცემი იყო და სამომავლოდ გააუქმებდა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას გაითვალისწინებდნენ. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სტუდენტების უმრავლესობა ისედაც დასაქმებული იყო, 27 სტუდენტიდან მაქსიმუმ 2 სტუდენტი შეიძლებოდა ყოფილიყო ვინც იმჟამად არ იყო დასაქმებული თუმცა სამუშაო გამოცდილება ჰქონდათ. მათთვის კი რამდენიმე თვით პრაქტიკაზე გაშვება კონკრეტული შედეგის მომცემი არ იქნებოდა, თმცა დაწესებულების წარმომადგენელმა შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებაც.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მაგისტრატურაზე სწავლა 19:00 საათიდან 22:00 საათამდე იყო, აქედან გამომდინარე, სტუდენტებს შეეძლოთ თან ემუშავათ.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილი იყო ამგვარი გვიანი ლექციები მათთვის ვინც 18:00-21:00 საათამდე მუშაობდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული იყო იმგვარი წესი, რომ სტუდენტს შეეძლო სემესტრში აეღო 1-დან 5-საგნამდე რაც მათ დატვირთავს

ამსუბუქებდა. მათი განათლების ხარისხი უფრო მაღალი იყო ვინც თავად აფინანსებდა საკუთარ სწავლას, განსხვავებით იმათგან, ვინც არ მუშაობდა. ვინაიდან პროგრამა იყო პრაქტიკაზე ორიენტირებული და სტუდენტი როემლიც იყო ორგანიზაციაში, უნდა ჰქონოდა გამოცდილება არ უნდა იმახსოვრებდეს მხოლოდ თეორიებს, არამედ გამოცდილება ცოდნასთან კორელაციაში მოიყვანოს. ამიტომ უფრო ეფექტური იყო როდესაც სტუდენტი სამუშაო გამოცდილებით მიდიოდა პროგრამაზე სასწავლებლად.

მაია ჩიხლაძე დაეთანხმა ექსპერტის რეკომენდაციებს, მისი აზრით აუცილებელი იყო პრაქტიკის კომპონენტი მაშინაც კი, თუ დაუსაქმებელი სტუდენტი არ ეყოლებოდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ამ საკითხთან დაკავშირებით დასაბუთება ჰქონდათ.

ირაკლი მაჩაბელი დაეთანხმა მამია ჯანჯალიას და მაია ჩიხლაძეს, ასევე აღნიშნა, რომ კანონმდებლობით დაშვებული იყო აღნიშნული მდგომარეობა და საბჭო ვერ გადაუხვევდა კანონით განსაზღვრულ წესებს. თუმცა, სასურველი იქნებოდა სტუდენტებისთვის მისაღები პირობები გათვალისწინებული ყოფილიყო.

5.შპს კავკასიის უნივერსიტეტის მეცნიერების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მაგისტრი მენეჯმენტში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0203
კრედიტების რაოდენობა	120

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ჯოჯუამ რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს, ინგლისური ენის ცოდნის რომელი დონე მოეთხოვება პროგრამაზე სწავლის მსურველს;
- სასურველია პროგრამის გაძლიერება პრაქტიკის, თუნდაც, არჩევით სასწავლო კურსად შეთავაზებით.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს აღარ უმსჯელია რადგან მსგავსი რეკომენდაციები იყო.

6.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ტურიზმში საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0205
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკა ლეკაშვილმა წარმოადგინა. მან დამსწრე საზოგადოებას ინტეგრირებულად გააცნო როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურებთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში

- ვინაიდან პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, სასურველია, პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებისთვის „თუნინგის“ მიდგომების გამოყენება. კერძოდ, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა: „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ფინანსები“, ასევე საწარმოო პრაქტიკის შემოღება გააძლიერებს პრაქტიკული უნარების შედეგებს.
- სასურველია, დაიხვეწოს პროგრამის შედეგები ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ნაწილში (მაგ: პროგრამის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მოცემულია: „ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება და იმპლემენტაცია“, „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტურიზმის სფეროში შემავალი დაჯავშნისა და ოპერირების სისტემების გამოყენება“);
- პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტის თანმიმდევრობის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, „მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი შეთავაზებულ იქნეს პირველი კურსის მეორე სემესტრში (შენაცვლდეს სემესტრულად სასწავლო კურსთან „საქართველოს ტურისტული რესურსები და ექსკურსიათმცოდნეობა“) და გახდეს სასწავლო კურსების „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „სასტუმროს მენეჯმენტი“ წინაპირობა. ამასთან, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „ტურიზმის მარკეტინგის“ წინაპირობად განისაზღვროს „ტურიზმის შესავალი“.
- წარმოჩინდა გარკვეული შეუსაბამობები პროგრამის სილაბუსების შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკას შორის, რაც სასურველია გასწორდეს. ასევე, რიგი ტექნიკური ხარვეზებისა, სილაბუსებსა და სასწავლო გეგმას შორის წინაპირობების მითითებისას (მაგ. სასწავლო კურსი „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“, „პრეკალკულუსი“, საბაკალავრო ნაშრომი). ასევე, ზოგიერთ სასწავლო კურსში, მაგ. „საქართველოს ტურისტული რესურსების დაგეგმვა და ორგანიზება“ და „სოციოლოგია“, მოცემულია რუსულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად, თუმცა წინაპირობებად რუსული ენა არ არის მითითებული. მსგავს შემთხვევებში სასურველია ქართულენოვანი ლიტერატურის მითითება.
- პროგრამის განვითარების მიზნით, სტრუქტურის ეფექტიანი დაგეგმვის გზით, შესაძლებელია მაინორ სპეციალობის შეთავაზება 60 კრედიტის ფარგლებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების ნაწილი უკვე გათვალისწინებული იყო, ნაწილის გამოსწორება კი ვერ მოხერხდა გარკვეული გარე ფაქტორების გამო. ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს და არსებული რესურსები უზრუნველყოფს შედეგზე გასვლას და ეს აღწერით ნაწილშიც უნდა იყოს წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. მაია სიდამონიძემ ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით რამდენიმე განმარტება გააკეთა, მან აღნიშნა, რომ გაითვალისწინა გარკვეული შენიშვნები შედეგების რუკასთან და პრეზენტაციების ქულებთან დაკავშირებით, თუმცა ზოგიერთ რეკომენდაციაში არ ეთანხმებოდა, კერძოდ, ტურიზმის მარკეტინგი არ ითხოვს წინაპირობას, რადგან საბაკალავრო საფეხურისთვის ორივე ფუნდამენტურ საგანს წარმოადგენს.

შემდეგ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის ტურიზმის პროგრამა, ისინი სტუდენტებს სთავაზობენ მენეჯმენტის საფუძვლებს, აღრიცხვას, სტატისტიკას, ად. რესურსების მართვას, მარკეტინგს და თუ ექსპერტების მოსაზრებით კიდევ იქნება საჭირო დამატება ბიზნესადმინისტრირების საგნების, ამის გათვალისწინება შესაძლებელია არჩევით მოდულში საგნების დამატებით.

მაია სიდამონიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო სხვა უნივერსიტეტებთან კავშირებიც (მაგალითისთვის, ავსტრიის უნივერსიტეტი) და პროგრამა ორიენტირებული იყო დასაქმებაზე, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება ტურიზმის გარდა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროშიც თუ ხდებოდა. მაია სიდამონიძემ უპასუხა, რომ სტუდენტები ორივე კომპეტენციას ეუფლებიან და შესაბამისად, ორივე მიმართულებით შეუძლიათ დასაქმება.

დავით კახნიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, იქნებ სჯობდა ბიზნესადმინისტრირების პროგრამას დამატებოდა ტურიზმის საგნები, რადგან გამოდიოდა, რომ გარკვეულ საგნებს ბიზნესადმინისტრირების კურსიდან, ტურიზმის პროგრამა არ ითვალისწინებდა.

ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ თუნინგის პროგრამის ფარგლებში, კვლევის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია საგანთა კომპლექსი, რომელიც აუცილებლად უნდა შეისწავლებოდეს შედეგისთვის და ამ პროგრამაში, რომელიც ამზადებს ბიზნესადმინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში, სასურველია ამ რეკომენდაციის გათვალისწინება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ ქვესპეციალობა ბევრ მიმართულებას აქვს და არ იყო საჭირო ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირებაში გაერთიანება, მან აღნიშნა, რომ პროგრამა გადიოდა შედეგზე და საუბარი იყო მხოლოდ კორპორაციული მენეჯმენტისა ან ფინანსური მენეჯმენტის დამატებაზე.

7.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტურიზმის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0205
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტი, ეკა ლეკაშვილი გადავიდა იგივე პროგრამის სამაგისტრო საფეხურის განხილვაზე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამა ტურიზმის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის სათანადო დონეს. თუმცა, რიგი სასწავლო კურსების („ბუღალტერია და ფინანსური ანგარიშგება", „ეთიკური და სამართლებრივი რეგულირება ტურიზმში", „ეფექტური ბიზნესკომუნიკაცია", „მდგრადი ტურიზმი", „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მართვა", „საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი", „საქართველოს ტურისტული პროდუქტები", „ტუროპერირებისა და ტურისტული სააგენტოების ბიზნესი" და სხვა) სილაბუსებით განსაზღვრული შედეგები საჭიროებს დაზუსტებას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის დონესთან შესაბამისობაში უკეთ მოყვანის მიზნით.
- ასევე, სასწავლო კურსებით დასახული მიზნები (მაგ: „ტურისტული პროდუქტის დიზაინი და დესტინაციის განვითარება" იმეორებს „ტურისტული პროდუქტის განვითარების" თემებს. ანალოგიურად, „ეთიკური და სამართლებრიცი რეგულაციები ტურიზმში" – „ტურიზმის სამართლის" თემებს, „ეფექტური ბიზნესკომუნიკაცია" – „ბიზნესკომუნიკაციას" და ა.შ.) საჭიროებს კორექტირებას, რათა უკეთ გამოიკვეთოს შესასწავლი საკითხის სიღრმე.
- პროგრამას არ ჰყავს სტუდენტი და კურსდამთავრებული, ამიტომ აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად და დეტალურად შესწავლა ვერ განხორციელდა.
- მიზანშეწონილია, პრაქტიკის კომპონენტს ჰქონდეს განსაზღვრული წინაპირობა სასწავლო კურსების სახით.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში შემოთავაზებული იყოს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები (კერძოდ, „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მართვა", „კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები", „ეფექტური ბიზნესკომუნიკაცია", „საქართველოს ტურისტული პროდუქტები").
- სასურველია, პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე სავალდებულო ლიტერატურის მკაფიო გამიჯვნა პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებისთვის (მაგ: „ეთიკური და სამართლებრივი რეგულაციები ტურიზმში", „ეფექტური ბიზნესკომუნიკაცია", „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მართვა"). ასევე, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „სერვისის ინდუსტრია და ბიზნესი" სავალდებულო ლიტერატურის გამრავალფეროვნება.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვერ გადაამოწმეს შედეგი - თუ რა განსხვავებაა პირველ და მეორე საფეხურებს შორის.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ იგრძნობოდა ეს განსხვავება სილაბუსების დონეზე. ექსპერტმა უპასუხა, რომ სწორედ იმის გამო ჰქონდათ გაცემული ეს რეკომენდაცია, რომ სილაბუსების მიხედვით ეს განსხვავება არ ჩანდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. მაია სიდამონიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სიახლიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი რეკომენდაცია მისაღები იყო და რამდენიმე განმარტება გააკეთა: საგნების

მსგავსებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საბაკალავრო დონეზე პროდუქტის გაცნობა იგულისხმებოდა, ხოლო მეორე საფეხურზე ამ პროდუქტის შეთავაზების სპეციფიკა, შესაბამისად, პროგრამა სხვადასხვა შედეგზე გადიოდა.

ლიტერატურის მსგავსების საკითხზე მაია სიდამონიძემ განმარტა, რომ შესაძლოა მსგავსება ყოფილიყო წყაროს კუთხით, თუმცა არა თემების მხრივ. მაგალითად მოიყვანა, რომ საბაკალავრო საფეხურზე თუ სტუდენტები სწავლობენ რას წარმოადგენს სამართალი, სამაგისტრო საფეხურზე უკვე ხდება სხვადასხვა ქვეყნის მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავკა, ურთიერთშედარება.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა იკითხა, თუ იყო მიზნები და შედეგები მკაფიოდ გამიჯნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გამიჯნული იყო ლიტერატურის მხრივაც, ლექტორებიც განსხვავდებოდნენ და თემებიც არ მეორდებოდა.

პრაქტიკის წინაპირობასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ძნელია კონკრეტული საგნის მითითება, რადგან 2 ტიპის პრაქტიკა ჰქონდათ - საწარმოო და საველე.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს შენიშვნები დოკუმენტურადაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და მხოლოდ საუბრის საფუძველზე გამოტანილი შთაბეჭდილებით ვერ იხელმძღვანელებდნენ.

მაია სიდამონიძემ განაცხადა, რომ პროგრამის აღწერილობაში ვრცლად ეწერათ მიზნებსა და შედეგებს შორის განსხვავება.

საბჭოს სხდომაზე 16:30 საათზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 17: 00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას (სპეციალობები: ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამას მენეჯმენტში მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ტურიზმში მიენიჭოს აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 6).

8.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინგლისური ენის ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	1005
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა პოზიცია საბჭოს გააცნო ცენტრის წარმომადგენელმა გიორგი ცხვედიანმა და აღნიშნა, რომ ექსპერტი ეკატერინე ბაკარაძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა და თავად წარუდგენდა ექსპერტთა დასკვნას აკრედიტაციის საბჭოს და წაიკითხა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სილაბუსების რედაქტირება და ძირითადი ლიტერატურის რაოდენობის შემცირება კონკრეტულ სასწავლო კურსებში - ევროპის ლიტერატურის ისტორია (35 ერთეული), მხატვრული თარგმანი (28 ერთეული), საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საერთაშორისო ორგანიზაციები (21 ერთეული), რაც აღემატება ერთი სასწავლო კურსის (5 კრედიტი) მოცულობით გათვალისწინებული არასაკონტაქტო საათების რაოდენობას;
- პროგრამა მოიცავს თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სწავლების მეხუთე და მეექვსე სემესტრებში. ექსპერტთა მოსაზრებით, სტუდენტთა თავისუფალი არჩევანისთვის უმჯობესია, თუკი არ იქნებოდა დაკონკრეტებული თავისუფალი კომპონენტების სემესტრი;
- სასურველი იქნებოდა, მეორე უცხო ენის კომპონენტში სტუდენტებისთვის შეთავაზებული ყოფილიყო რუსული ენაც, რაც გაამარტივებდა იმ სასწავლო კურსის სრულყოფილად დაუფლებას, რომელთა სილაბუსებშიც ძირითად ლიტერატურად მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა;
- სასურველი იქნებოდა, საბაკალავრო პროგრამის განვითარების მიზნი, პროგრამაში ძირითად კომპონენტად გათვალისწინებული იყოს სასწავლო პრაქტიკა, რაც შესაბამისად იქნება ასახული სტუდენტების სასწავლო კრედიტებში, რადგანაც უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო რესურსი, უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული სტუდენტების პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხატია დეკანოიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. წარმომადგენლის თქმით რეკომენდაციებს დახმარების და ასისტირების ფუნქცია ჰქონდა.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლიტერატურის სიჭარბე ტექნიკური უზუსტობა იყო, რაც უბრალოდ სილაბუსის სტრუქტურასთან იყო დაკავშირებული, აღნიშნული უზუსტობის გასწორებაზე უკვე მუშაობდნენ. მეორე რეკომენდაცია, თავისუფალი კომპონენტების შეთავაზებიშ შესახებ უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის მისაღები აღმოჩნდა. მესამე რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენლები არ იზიარებდნენ, რადგან სილაბუსით გათვალისწინებული რუსული ლიტერატურის მინიმალური რაოდენობით შეთავაზება, მათი აზრით, არ მოითხოვდა რუსული ენის დამატებას სასწავლო პროგრამაში. ხოლო, თუ შეთავაზებული ლიტერატურა სტუდენტებისათვის რთული აღმოჩნდებოდა შესაძლებელი იყო გამარტივება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია გონაშვილმა დააზუსტა, რომ რეკომენდაციაში საუბარი იყო ორ რუსულენოვან სახელმძღვანელოზე, აღნიშნული საკითხი მარტივად მოსაგვარებელი იყო, დაწესებულება გააკონტროლებდა ლექტორებს, რომ სისტემატურად უზრუნველეყოთ სტუდენტები საკითხავებით.

ნანა გაფრინდაშვილმა ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს მიზანში დასაქმებაზე ყურადღება არ გაემახვილებინათ, ამაზე თვითშეფასების კითხვარში შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი. მისი აზრით, ძალიან დიდი წილი თარგმანთმცოდნეობაზე მოდიოდა, რადგან ეს იყო ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, თარგმანმცოდნეობას არ უნდა ჰქონოდა დათმობილი დიდი წილი. თორმეტი არჩევითი საგნიდან ექვსი თარგმნანთმცოდნეობის იყო. ან მომავალში გაეკეთებინათ თარგმანმცოდნეობის პროგრამა რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევისთვის და აღნიშნა, რომ თავადაც აპირებდნენ ასეთუ პროგრამის შემუშავებაზე რადგან მსგავსი პროგრამა ძალიან ცოტა უნივერსიტეტს ჰქონდა.

ნანა გაფრინდაშვილი ასევე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მისაღებად იყო მზად პროგრამა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 30 სტუდენტის ადგილი იყო გათვალისწინებული ამ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ჰყავდა ძალიან ძლიერი სტუდენტები და რეალურად იყვნენ დაინტერესებულნი აღნიშნული პროგრამით.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა სილაბუსებში მითითებულ რუსულენოვან წიგნებს ინგლისურენოვანი ანალოგები ხომ არ ჰქონდათ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებოდა ინგლისური სავარჯოშოები, ხოლო ინსტრუქციები, რაც რუსულად იყო, ნათარგმნი ჰქონდათ ქართულად.

9.შპს კავკასიის უნივერსიტეტის მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამაგისტრო პროგრამა მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიაში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციოლოგის მაგისტრი მედიაკომუნიკაციაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	070601
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, მარიამ გერსამიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის სტანდარტების დარღვევა არ დაუფიქსირებია ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამა დადებითად შეაფასა, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

- სილაბუსში გაწერილი შეფასების მეთოდები მრავალკომპონენტიანია. სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სხვადასხვა ფორმების შერჩევის და მოდიფიკაციის მიმართულებით (მაგ.: ქვიზების, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვების რაოდენობების და დავალებებისთვის მინიჭებული ქულების დაზუსტება);
- ამჟამად, პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო მასალა უახლესია, თუმცა, პროგრამა რომელიც სოციალური ველის სხვადასხვაგვარი სწრაფი ტრანსფორმირების შესწავლას მოიცავს, საჭიროებს სასწავლო მასალის და სილაბუსების მუდმივ და დროულ განახლებას. შესაბამისად, აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მუდმივად იზრუნოს ბიბლიოთეკის განახლებაზე.ასევე, სასურველია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებთან წვდომა, პროფესორების და სტუდენტებისთვის ტექნიკურად შესაძლებელი გახდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიღმაც.
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან შესაბამისობაში გაწერილია პროგრამის და სილაბუსების კომპეტენციები. პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსები მოიცავს ინტერდისციპლინურ, ინტერკულტურულ კომპეტენციებს. სამომავლოდ, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების და საერთაშორისო კომპეტენციების განვითარების მიზნით, აუცილებელია თითოეული კურსის ფარგლებში გაგრძელდეს მუშაობა კომპეტენციების და სასწავლო ლიტერატურის დაზუსტების, მუდმივი განახლების კუთხით.

როგორც აღინიშნა, საქმე ეხებოდა იმ გარემოებას, რომ საიტიდან არ იყო წვდომის შესაძლებლობა, მისი განახლების გამო. ტემპუსის ფარგლებში უნივერსიტეტს დიდი რესურსები ჰქონდა მობილიზებული, აღნიშნული რესურსების გამოყენებით მოხდებოდა ელეტრონული რესურსების უზრუნველყოფა, საამისოდ ყველაწაირი პირობა არსებობდა, ამ ეტაპზე სპეციალური პორტალიდან ელექტორნული წვდომის გვერდი დამუშავების პროცესში იყო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგელბში ესაუბრა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს, რომელის თქმით, მომდევნო ორი თვის განმავლობაში მდგომარეობა გამოსწორდებოდა ამ მხრივ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სამივე რეკომენდაცია თანამშრომლობის რეჟიმში ჩამოყალიბდა. პროგრამის ლიტერატურით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო წარმოდგენილი პროგრამული მიმართულების ლიტერატურის განახლებისთვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დარგში მუდმივად აქტუალური იყო ლიტერატურის განახლება, ჩნდებოდა ახალი თემები, მაგალითად, ფერადი რევოლუციები, უკრაინის კრიზისი და

ა.შ. პერიოდულად აუცილებელი იქნებოდა ახალი ლიტერატურის შეტანა სასწავლო კურსებში, თუმცა, დღეისათვის საჭირო და აქტუალური ლიტერატურა პროგრამაში წარმოდგენილი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა ექსპერტის მოსაზრება და აღნიშნა, რომ ამაზე არავინ დაობდა, რიგი დარგების შემთხვევაში ლიტერატურის განახლება მუდმივი გამოწვევა იყო და მათთვის პრიორიტეტი იყო ამ მიმართულებით მუშაობა.

ზაზა რუხაძე დაინტერესდა, როდესაც ექსპერტი წერდა, რომ უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა შეფასების სხვადასხვა ფორმების შერჩევის და მოდიფიკაციის შესახებ, ასევე, გაიზრდილიყო ლექტორთა ჩართულობა შესაბამისი საკითხების განხილვის პროცესში, წარმოდგენილ მდგომარეობას ექსპერტი ხომ არ აფიქსირებდა როგორც ხარვეზს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ როდესაც საუბრობდა ლექტორების ჩართულობაზე, მხედველობაში ჰქონდა მათთვის მეტი თავისუფლების მიცემა მაგალითად, როგორ განაწილებულიყო ქულები, ზეპირ კომპონენტს მეტი მინიჭებოდა თუ წერითს და ა.შ. მისი თქმით, ასეთი სურვილი თავად ლექტორებმა დააფიქსირეს გასაუბრებისას. მთლიანობაში, შეფასების სისტემა იყო მრავალკომპონენტიანი და ჩართულობაც სახეზე იყო, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა მათთვის კიდევ უფრო მეტი თავისუფლების მიცემა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, წარმოდგენილ შემთხვევაში წარმოდგენილ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ იდგა ლექტორების აკადემიური თავისუფლება. მისი მოსაზრებით, ჩანაწერი წინააღმდეგობრივი იყო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით იყო განსხვავებები, თუმცა, რამდენიმე კურსის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მოდიფიცირება ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისა, სტუდენტებისათვის პროგრამაზე მოსახვედრად იყო თუ არა გათვალისწინებული დამატებით კონკრეტული მიმართულებით ბაკალავრის ხარისხით შეზღუდვა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კონკრეტული მიმართულებით ბაკალავრის ხარისხი როგორც წინაპირობა განსაზღვრული არ იყო, გათალისწინებული იყო გასაუბრების გავლა, რისთვისაც წინასწარ იყო შემუშავებილი შესაბამისი კითხვარი და შეფასება ხდებოდა ქულებით.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის შეფასების კრიტერიუმი თუ იყო ცნობილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ახალ სამაგისტრო პროგრამას ეხებოდა საქმე, მათთვის ეს პირველი მცდელობა იყო, კრიტერიუმების შემუშავების პროცესში იყვნენ და მოკლე ხანებში დაწესებულების ვებგვერდზეც განათავსებდნენ შესაბამის ინფორმაციას.

10.შპს კავკასიის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საბაკალავრო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში/ჟურნალისტიკაში
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრიმასობრივ კომუნიკაციაში/ჟურნალისტიკაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0703
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა მარიამ გერსამიამ და აღნიშნა, რომ ხარვეზები და შენიშვნები ექსპერტებს არ გამოუვლენიათ, ასევე გაახმოვანა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სილაბუსში გაწერილი შეფასების მეთოდები მრავალკომპონენტიანია. სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასების სხვადასხვა ფორმების შერჩევის და მოდიფიკაციის მიმართულებით (მაგ.: ქვიზების, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვების რაოდენობების და დავალებებისთვის მინიჭებული ქულების დაზუსტება);
- ამჟამად, პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო მასალა უახლესია, თუმცა, პროგრამა რომელიც სოციალური ველის სხვადასხვაგვარი სწრაფი ტრანსფორმირების შესწავლას მოიცავს, საჭიროებს სასწავლო მასალის და სილაბუსების მუდმივ და დროულ განახლებას. შესაბამისად, აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მუდმივად იზრუნოს ბიბლიოთეკის განახლებაზე.ასევე, სასურველია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებთან წვდომა, პროფესორების და სტუდენტებისთვის ტექნიკურად შესაძლებელი გახდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიღმაც.
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან შესაბამისობაში გაწერილია პროგრამის და სილაბუსების კომპეტენციები. პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსები მოიცავს ინტერდისციპლინურ, ინტერკულტურულ კომპეტენციებს. სამომავლოდ, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების და საერთაშორისო კომპეტენციების განვითარების მიზნით, აუცილებელია თითოეული კურსის ფარგლებში გაგრძელდეს მუშაობა კომპეტენციების და სასწავლო ლიტერატურის დაზუსტების, მუდმივი განახლების კუთხით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟიჟილაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს რეკომენდაციებისათვის და ნაყოფიერი თანამშრომლებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილი იყო საჭირო ინვენტარით. ამერიკული პროექტის ფარგლებში მულტიმედია ცენტრით სარგებლობდნენ სტუდენტები. თუმცა უნივერსიტეტი გეგმავდა საკუთარი მულტიმედიური გარემოს შექმნას ტელე, რადიო და ახალი მედიის ყველა კომპონენტით. დასაქმებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დასაქმების 80% მაჩვენებელი იყო. რამდენიმე თაობის გამოშვების შემდეგ კურსდამთავრებულები თავად გახდებოდნენ დამსაქმებლები.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ისევ ჰქონდა კონტაქტი კურსდამთავრებულებთან. თუმცა, კარგი იქნებოდა შეექმნათ კურსდამთავრებულთა კლუბი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს სილაბუსების საკუთარი სისტემა ჰქონდა, მაგრამ მედიის სპეციფიკა განსხვავებული იყო, მხოლოდ პრაქტიკული პროექტებით. რეკომენდაციას აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა კუსრდამთავრებულთა კლუბი სადაც დაახლოებით 2000 სტუდენტი იყო გაერთიანებული და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. თუმცა გასათვალისწინებელი იყო ცალკეული სკოლებისთვის ასეთი კლუბების არსებობა.

11. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკასა და მასობრივ კომუნიკაციაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0703
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება წარადგინა ნინო ჯაფიაშვილმა:

- სამაგისტრო პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული, ასე რომ სასურველი იქნებოდა ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა პირველი გამოშვების შემდეგ ხელახლა შეაფასოს პროგრამის მიღწევები, სუსტი მხარეები და მოქნილი იყოს პროგრამის სტრუქტურისა და მიზნების გადახედვის პროცესში.
- სასურველი იქნებოდა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვის შესახებ დოკუმენტში წინაპირობებს შორის დაემატოს სასწავლო კურსი „დოკუმენტური ფილმი", რადგან დოკუმენტური ფილმი განხილულია, როგორც სამაგისტრო პროექტის ერთერთი შესაძლო ვარიანტი.
- სასურველი იქნებოდა პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან არჩევითი საგნების გრაფაში გადასულიყო შემდეგი კურსები: „ვიდეოკამერით გადაღების ტექნიკა", სამონტაჟო პროგრამები და მათი გამოყენება", „ახალი ამბები/ჟურნალისტური წერის ტექნიკა" და „სამაუწყებლო ჟურნალისტიკა". ყველა ეს კურსი პრაქტიკულია და შესაძლებელია ნაკლებად იყოს სიახლის შემცველი და ეფექტური იმ სტუდენტებისთვის, ვინც დარგობრივ კომპეტენციებს მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის საბაკალავრო საფეხურზე სწავლისას დაეუფლა (მათ შორის, კავკასიის უნივერსიტეტში).
- სასურველია „ახალი მედიის" კურსის შინაარსი გამდიდრდეს მულტიმედიის კომპონენტებით. მით უმეტეს, რომ სტუდენტებისთვის სამაგისტრო პროექტის ერთერთ შეთავაზებულ ვერსიად მულტიმედიური პროექტის შექმნა განიხილება.
- მესამე რეკომენდაციის გაზიარების შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა პრაქტიკული კურსების სილაბუსში მიეთითოს კონკრეტული უნარ-ჩვევები (მაგ. აუდიო-ვიდეო მონტაჟი), რომელსაც უნდა ფლობდეს სტუდენტი პრაქტიკული მედიაპროდუქტების შექმნის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება. ნინო ჟიჟილაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგნის - დოკუმენტური ფილმი არჩევითობა განპირობებულია იმით, რომ ფინალური პროექტის ერთერთ ვარიანტად განიხილება, თუმცა არა ერთადერთად, შესაბამისად, ის სტუდენტები, ვინც ფინალურ პროექტად არ ირჩევს დოკუმენტურ ფილმს, იძულებული იქნებოდნენ გაევლოთ საგანი, რომელიც მათთვის შესაძლოა ნაკლებად საინტერესო იყოს. ნინო ჟიჟილაშვილმა განმარტა, რომ ეს გემოვნების საკითხი იყო და ვერც პრაქტიკული გამოცდილებიდან ისაუბრებდა, რადგან ამ კურსს ჯერჯერობით გამოშვება არ ჰყოლია.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ნინო ჟიჟილაშვილმა განაცხადა, რომ ვიდეოგადაღება, მონტაჟის ტექნიკა, ნიუსის წერა, რადიორეპორტინგი და ტელერეპორტინგი ფუნდამენტური საგნებია, რაც ნიშნავს, რომ სავალდებულო სტატუსი უნდა ჰქონდეს. მან განმარტა, რომ ეს კურსი პრაქტიკისა და თეორიის კომბინაციაა და სტუდენტები ჟურნალისტიკის ფუნდამენტურად შესწავლის მსურველები არიან, რის გამოც ელემენტარული დონიდან ასწავლიან ყველაფერს. იმ შემთხვევაში, თუ

არსებობს სტუდენტი, რომელმაც შედარებით მაღალ დონეზე იცის მონტაჟი, შესაძლებელია ინდივიდუალურ პროექტში მას უფრო მაღალი მარჯა დაუწესოს პროგრამის ხელმძღვანელმა.

ახალ მედიასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანი იმდენად სწრაფად საჭიროებს განახლებას, რომ სანამ თარგმნიდნენ მასალებს ქართულად, მანამდე უკვე კარგავდა სიახლეს, თუმცა სტუდენტებისთვის ჰენდაუთებს ქმნიან. ნინო ჟიჟილაშვილმა აღნიშნა, რომ, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებულ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდა. სამაგიეროდ იზიარებდა შეფასების კომპონენტების ლავირებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ კარგია, როცა ლექტორს ეძლევა საშუალება, უნარების მიხედვით მისცეს სტუდენტს დავალება.

ექპერტმა სიტყვა ითხოვა რეკომენდაციების დასაზუსტებლად: დოკუმენტური ფილმის სავალდებულო საგნად გადატანას არ გულისხმობდა, არამედ თუკი ის პროექტის ნაწილი უნდა ყოფილიყო, ჯობდა მისი წინაპირობად განსაზღვრა.
ასევე, პრაქტიკულ კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს კურსები იმ კომპეტენციებს აძლევდა სტუდენტს, რასაც საბაკალავრო საფეხურზეც იღებს - რეპორტაჟების კეთებას უფრო დაბალ საფეხურზეც სწავლობენ.

მარიამ გერსამიამ განაცხადა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამების სტანდარტიზება ერთფეროვანი არ უნდა გახდეს. მაგალითად მოიყვანა სტენფორდი, რომელსაც საერთოდ არ აქვს აკრედიტაცია, მაგრამ მაღალი ხარისხის ცოდნას იძლევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ნებისმიერ შემთხვევაში გადის შედეგზე, უბრალოდ მას აინტერესებდა რა სიახლეს სთავაზობდა უნივერსიტეტი იმ სტუდენტებს, ვისაც აღნიშნული უნარები ბაკალავრიატის დროს აქვს გამომუშავებული.

საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ ბოლო გამოსვლით კმაყოფილი იყო, რადგან მსჯელობა იყო პროდუქტიული და არ თვლიდა საჭიროდ ტექნოკრატიულობაზე გადაყოლას. მან გამოხატა დადებითი დამოკიდებულება ხელმძღვანელის მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ კამათი ქმნის იმის მოლოდინს, რომ ქვეყანაში პროგრამები განვითარდეს.

ნანა გაფრინდაშვილმაც გამოხატა კმაყოფილება პროფესიული კამათის გამო და პროგრამის ხელმძღვანელს კითხვით მიმართა, თუ როგორ ფიქრობდა, ნაშრომს მეტი სტუდენტი აირჩევდა თუ პროექტს, ასევე დაინტერესდა თუ ჰქონდათ განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა წინასწარ.

ნინო ჟიჟილაშვილმა უპასუხა, რომ ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრე იყო, რადგან პრაქტიკაში არ ჰყავთ კურსდამთავრებულები და ჯერ არ დამდგარა აღნიშნული საკითხი.

ნანა გაფრინდაშვილმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ პროექტს მეტი მსურველი ეყოლებოდა, რადგან ათი წლის წინ ნაშრომს სტუდენტთა 90% ირჩევდა და ბოლო დროს ტენდენცია შეიცვალა.

ნინო ჟიჟილაშვილმა თემატიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჯერ არ იყო შეთავაზებული ნაშრომის თემები, თუმცა როცა დრო მოვიდოდა, ამის პრობლემა არ დადგებოდა, რადგან თემატიკა დიდწილად იქნებოდა განპირობებული იმდროისთვის არსებულ სიახლეებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს.
საკითხის განხილვა დასრულდა.

12. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	110405
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გიორგი გვალიამ წარადგინა. ექსპერტებს ჰქონდათ ერთი რეკომენდაცია:

სასურველია, პროგრამას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტად, რაც დაეხმარება სტუდენტს გაიღრმავოს კვლევითი უნარები მის მიერ არჩეული სპეციალობით.

გიორგი გვალიამ დადებითად შეაფასა მდგომარეობა, აღნიშნა, რომ კარგად ჩანდა ლოგიკური ბმა და იგრძნობოდა განსხვავება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის. რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების პრეროგატივაა, გაითვალისწინებს თუ არა ექსპერტების რჩევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტების ჯგუფს და აღნიშნა, რომ განიხილავენ საბაკალავრო ნაშრომის არჩევითად დამატების საკითხს, მომავალში კი შესაძლოა სავალდებულო სტატუსიც მიანიჭონ. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ევროპისმცოდნეობის პროგრამა დიდი პოპულარობით სარგებლობს და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს ემსახურება.

13. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განიხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთერთობებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0705
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები გიორგი გვალიამ წარადგინა:

- სასურველია, საგანი „თანამედროვე აზროვნების საფუძვლები“ ერთი სემესტრის ნაცვლად იკითხებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველია ის ვრცელი თემატიკა, რომლის სრულფასოვნად დასამუშავებლად ერთი სემესტრი მცირე დროა.
- დარგისთვის მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასურველია, რომ სასწავლო კურსები „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „ნაციონალიზმის თეორია და ისტორია“ არჩევითის ნაცვლად სავალდებულო საგნის სტატუსით იქნას შეთავაზებული.
- სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა საშუალება, გამოეთქვა მოსაზრებები. სერგი კაპანაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ვიზიტი. ნაშრომის შემოტანასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას იზიარებდა და ამ საკითხზე დაწყებული იყო მუშაობა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანი, შესაძლოა არჩევითიც იყოს და სავალდებულოც. პირველი 3 სემესტრის შემდეგ უწევთ სტუდენტებს არჩევითი საგნების გავლა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბოლოოდ ამ საგნებს მაინც ყველა სტუდენტი გაივლის.

„თანამედროვე აზროვნების საფუძვლებთან“ დაკავშირებით კი დაწესებულების წარმოამდგენელმა აღნიშნა, რომ უფრო მჭიდრო კურსია, ვიდრე ილიას უნივერსიტეტში აქვთ და მათი მცდელობა იყო

ერთ სემესტრში ჩატეულიყვნენ, თუმცა პრაქტიკიდან გამომდინარე მიიღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

14. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1109
კრედიტების რაოდენობა	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტმა გიორგი გვალიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- შესაძლებელია სავალდებულო სასწავლო კურსი „თანამედროვე აზროვნების საფუძვლები" ერთი სემესტრის ნაცვლად იკითხებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს უფრო საფუძვლიანად გაეცნონ სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურას.
- სასურველია, პროგრამას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტად, რაც დაეხმარება სტუდენტს გაიღრმავოს კვლევითი უნარები მის მიერ არჩეული სპეციალობით.

ირაკლი მაჩაბელმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამ გამოიწვია ექსპერტის რეკომენდაცია კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, რადგან ბაკალავრიატის საფეხურზე არ მოითხოვება კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სერგი კაპანაძემ, აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სხვადასხვა კურსზე სტუდენტებს უწევთ ნაშრომების შექმნა, რისთვისაც სჭირდებათ კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის ცოდნა. მან განმარტა, რომ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით და იმუშავებენ ნაშრომის შემოტანის საკითხზე.

18:40 საათზე გამოცხადდა შესვენება, ხდომა განახლდა 18:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე